ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა

ბათუმი

2021

ფაკულტეტის შესახებ 3
მისია 4
ღირებულებები 5
სოციალური პასუხისმგებლობა 5
ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობის შეფასება 6
SWOT ანალიზი 6
ძირითადი მიზნები და ამოცანები 8
საგანმანათლებლო პროცესის მართვა 8
აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ოპტიმიზაცია 8
მეცნიერება 8
ინოვაცია 9
ინტერნაციონალიზაცია 9
ინფრასტრუქტურა 10
შედეგების გავრცელება 10
პრიორიტეტული მიმართულებები 10
ფაკულტეტის სამომავლო განვითარების შესაძლებლობები 10

ფაკულტეტის შესახებ

საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1990 წლის 3 სექტემბრის №453 დადგენილებით ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სწორედ ამ პერიოდში ბსუ-ში საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებისა და პროფილის საგანმანათლებლო პროგრამების ფუნქციონირებას. 1991 წელს პირველად გამოცხადდა სტუდენტთა მიღება: „ფინანსები და კრედიტი“ და „ეკონომიკა და მართვა ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში“ სპეციალობებზე, ჩამოყალიბდა „ეკონომიკის და მართვის“ კათედრა.

1997 წელს უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ეკონომიკის ფაკულტეტი, რომელშიც გაერთიანდა „ფინანსებისა და დარგობრივი ეკონომიკის“, „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების“ და „ეკონომიკური თეორიის“ კათედრები. ეკონომიკის ფაკულტეტი ახორციელებდა სტუდენტთა მომზადებას შემდეგი სპეციალობებით: ფინანსები და საბანკო საქმე; საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები; საბაჟო-საგადასახადო საქმე; აღრიცხვა, კონტროლი, აუდიტი.

2005 წელს იურიდიული და ეკონომიკის ფაკულტეტების გაერთიანების შედეგად შეიქმნა სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, რომელმაც გააერთიანა ეკონომიკის და ბიზნესის ადმინისტრირების (ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი, საბუღალტრო აღრიცხვა და საგადასახადო საქმე) საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები. ჩამოყალიბდა ფინანსების, აღრიცხვის და აუდიტის; ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტები.

2014 წელს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის რეორგანიზაცია განხორციელდა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი შეიქმნა.

დღეს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი აერთიანებს ოთხ დეპარტამენტს:

- საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დეპარტამენტი;
- ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დეპარტამენტი;
- საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტის და საგადასახადო საქმის დეპარტამენტი;
- ეკონომიკის დეპარტამენტი.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სწავლების სამივე დონეზე შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს:

- საბაკალავრო - ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა;
- სამაგისტრო - ფინანსები და საბანკო საქმე, ბიზნესის ადმინისტრირება, ეკონომიკა;
- სადოქტორო - ბიზნესის ადმინისტრირება.

მისია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მისიას წარმოადგენს ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, დემოკრატიული და ლიბერალური პრინციპების მქონე პიროვნების ჩამოყალიბება;

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი უნდა ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ერთეულად, რომელიც მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს საერთაშორისო და ეროვნულ საგანმანათლებლო სივრცეში.

ფაკულტეტის თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საერთაშორისო შეთანხმებების, ბსუ-ს წესდების, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის, ფაკულტეტის დებულების და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების საფუძველზე.

ღირებულებები

- სინდისის, არჩევანის, გადაწყვეტილების მიღების, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება;
- ჰუმანურობა, ტოლერანტობა და თანასწორობა;
- აკადემიური თავისუფლება, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება;
- გუნდური მუშაობა, სოციალური პასუხისმგებლობა;

სოციალური პასუხისმგებლობა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი იზიარებს სოციალური პასუხისმგებლობის ფუნდამენტურ პრინციპებს. ფაკულტეტი მისი ფუქნციონირების ფარგლებში მხარს უჭერს სტუდენტთა, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პოტენციალის რეალიზებას, რომლებიც ქმნიან უკეთეს საგანმანათლებლო და კვლევით სივრცეს.

ფაკულტეტი გამოთქვამს მზაობას ითანამშრომლოს საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან, უცხოელ პარტნიორებთან, პრაქტიკული უნარების და სამეცნიერო საქმიანობის გაფართოვების მიზნით.

ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობის შეფასება

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
– პროგრამების მიმართ მაღალი ინტერესი საზოგადოების მხრიდან; – სახელმწიფოს მიერ პრიორიტეტული პროგრამების დაფინანსება – ფინანსურად მდგრადი და მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა; – საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება სწავლების სამივე საფეხურზე; – უცხო ენის მცოდნე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი; – საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციების ორგანიზების გამოცდილების არსებობა; – პროფესორ–მასწავლებელთა და სტუდენტთა საერთაშორისო მობილობის მზარდი დინამიკა; – ბიბლიოთეკა (ელექტრონული, წიგნადი და ციფრული ფონდით და ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით); – აკადემიური პერსონალის საერთაშორისო ცნობადობა; – საერთაშორისო და ეროვნულ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობა;	– ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა; – აკადემიური პროგრამების მიმართულებით ინტერნაციონალიზაციის დეფიციტი; – უცხოელი სტუდენტების სიმწირე (ვღებულობთ მხოლოდ Erasmus+ მობილობის სტუდენტებს) – კვლევითი პროფილის მიხედვით საგრანტო პროექტების არასაკმარისი რაოდენობა; – ინტერნაციონალური და ინტერდისციპლინარული კვლევების სიმწირე; – ფაკულტეტზე საგამომცემლო საქმიანობის სიმწირე.

შესაძლებლობები	საფრთხეები
– კურსდამთავრებულთა შესაბამისი პროფილით დასაქმების სტიმულირება შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან მჭიდრო თანამშრომლობით; – საჯარო და კერძო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების აქტიური ამოქმედება და ახლის გაფორმება; – ერთობლივი სამაგისტრო/ სადოქტორო პროგრამების შემუშავება; – ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილით განსაზღვრული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მომზადება აკრედიტაციისთვის; – კვლევითი პროფილის მიხედვით საგრანტო პროექტებში ჩართულობის სტიმულირება; – აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებულ კვლევებში სტუდენტთა ჩართულობის წახალისება; – ინტერნაციონალური და ინტერდისციპლინარული კვლევების გაფართოვება; – სეზონური სკოლების ამუშავება, – ფაკულტეტზე საგამომცემლო/ საქმიანობის მხარდაჭერა.	– პანდემიით გამოწვეული სირთულეები; – ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების არასტაბილურობა; – კვალიფიციურ კადრთა გადინება; – საკანონმდებლო რეგულაციების ხშირი ცვლილება; – საგანმანათლებლო პროგრამების სახელმწიფო დაფინანსების არსებული მოდელი.

ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობის შესწავლისა და შესაბამისი ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა ძირითადი სამოქმედო მიზნები და ამოცანები სასწავლო პროცესის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ოპტიმიზაციის, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობისა, ინოვაციების, ინფრასტრუქტურისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

ძირითადი მიზნები და ამოცანები

საგანმანათლებლო პროცესის მართვა

ამოცანა 1.	სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა/სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების განვითარება
ამოცანა 2.	სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება და მუდმივი მონიტორინგი
ამოცანა 3.	ხარისხის სამსახურის მიერ ტრენინგთა ციკლის ორგანიზება სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესებისა და სილაბუსების ოპტიმიზაციის მიზნით
ამოცანა 4.	პარტნიორების მოძიება პრაქტიკისა და სტაჟირების ობიექტების გაფართოვების მიზნით

აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის ოპტიმიზაცია

ამოცანა 1.	პროფესორ-მასწავლებელთა წახალისების მექანიზმების შემუშავება.
ამოცანა 2.	კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების მოძიება და განხორციელება
ამოცანა 3.	საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის წახალისება
ამოცანა 4.	მაღალრეიტინგულ რეცენზირებად-რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნების სტიმულირება
ამოცანა 5.	სხვა წახალისების ღონისძიებების შემუშავება

მეცნიერება

ამოცანა 1.	კვლევის პროფილის შესაბამისი საერთაშორისო და შიდა საგრანტო კონკურსში რეგულარულად მონაწილეობა.

ამოცანა 2.	პარტნიორების მოძიება ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით ფაკულტეტის კვლევითი პროფილის ფარგლებში.
ამოცანა 3.	სტუდენტთა კვლევითი კომპონენტების გაძლიერება და მათი სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართულობის სტიმულირება
ამოცანა 4.	მიზნობრივი კვლევების განხორციელება დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობით.
ამოცანა 5.	აკადემიური პერსონალის მიერ ინტერ დისციპლინური კვლევების მომზადება.
ამოცანა 6.	ტრენინგთა ციკლის ჩატარება, ინფორმაციის მოძიება და აკადემიური პერსონალისთვის მიწოდება მაღალ რეიტინგული, საერთაშორისო რეფერირებადი, რეცენზირებადი და ,,მტაცებლური" ჟურნალების შესახებ.

ინოვაცია

ამოცანა 1.	ერთობლივი სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამის მომზადება უცხოელ პარტნიორებთან ერთად.
ამოცანა 2.	ფაკულტეტის საგანმანათლებო პროფილით განსაზღვრული ახლო პერსპექტივაში შესამუშავებელი პროგრამების განახლება და შექმნა.
ამოცანა 3.	პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების მიერ თემატური საჯარო ლეციებისა და მასტერკლასების ჩატარება.
ამოცანა 4.	ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფაკულტეტის საქმიანობის პიარ-მენეჯმენტის მექანიზმის შემუშავება და ამოქმედება.
ამოცანა 5.	კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა - მზრუნველთა საბჭოს ჩამოყალიბება
ამოცანა 6.	სხვადასხვა საუნივერსიტეტო კავშირებში გაერთიანება და ფაკულტეტის როლის გაძლიერება
ამოცანა 7.	მცირე ბიზნეს იდეების (Start -up) მხარდაჭერა პარტნიორი კომპანიების დახმარებით
ამოცანა 8.	აქტიურ სტუდენტთა კლუბის შექმნა/ ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება

ინტერნაციონალიზაცია

ამოცანა 1.	ერასმუს+ პროექტებში აკადემიური პერსონალის ჩართულობის ხელისშეწყობა როგორც მათი უცხოენოვანი კომპეტენციების ზრდით, ასევე უცხოენოვანი კომპეტენციების მქონე კადრების მოზიდვით.

ამოცანა 2.	საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია
ამოცანა 3.	უცხოენოვანი ლიტერატურის ხელმისაწვდომობის ზრდა
ამოცანა 4.	უცხოეთის უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიური თანამშრომლობა
ამოცანა 5.	უცხოელი პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა საჯარო ლექციების წასაკითხად.

ინფრასტრუქტურა

ამოცანა 1.	ბიბლიოთეკის შევსება უახლესი ლიტერატურით
ამოცანა 2.	სააუდიტორო სივრცეების და კომპიუტერული ტექნიკის განახლება

შედეგების გავრცელება

ამოცანა 1.	აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო მუშაობის პოპულარიზაცია
ამოცანა 2.	სტუდენტთა მიღწევების პოპულარიზაცია
ამოცანა 3.	აკადემიური მიღწევების წახალისება და სტიმულირება
ამოცანა 4.	ფაკულტეტის სიახლეების გავრცელება ბსუ-ს სხვადასხვა მარკეტინგული არხების საშუალებით

პრიორიტეტული მიმართულებები

ფაკულტეტის სამომავლო განვითარების შესაძლებლობები

- **შრომის ბაზართან ურთიერთკავშირი:**
  - შრომის ბაზრის წლიური მონიტორინგი, რათა შესწავლილ იქნეს შრომის ბაზარზე არსებული ეკონომიკისა და ბიზნესის დარგში არსებული პროფესიებისთვის აუცილებელი მოთხოვნადი კომპეტენციები; შესაბამისად მოხდეს ადაპტირება და კვალიფიციურ კადრთა მომზადება;
  - ურთიერთობის გაღრმავება დარგის პრაქტიკოს წარმომადგენლებთან და სტუდენტთა ჩართულობის ზრდა;
  - სტაჟირებისა და პრაქტიკის შესაძლებლობების ზრდა;
- **პარტნიორული ურთიერთობების გაფართოვება:**

- სახელმწიფო სტრუქტურები (აჭარის ა.რ სამინისტროები, მთავრობის აპარატი);
- აჭარის ა.რ არსებული მუნიციპალიტეტები
- ქ. ბათუმის მერია და მერიას დაქვემდებარებული სსიპ-ები
- სამრეწველო სავაჭრო პალატა
- ბიზნეს ასოციაციები
- კერძო კომპანიები

❖ **სტუდენტური ცხოვრება:**

- აქტიურ სტუდენტთა კლუბის შექმნა/ ქმედითი ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება:
- კურსდამთავრებულთა კლუბის ჩამოყალიბება, კურსდამთავრებულთა და მოქმედ სტუდენტთა თანამშრომლობითი კავშირების გაფართოვება.

აღნიშნული სამოქმედო გეგმის ძირითადი ამოცანების განხორციელება შესაძლებლად მიგვაჩნია 2021-2025 წლებში, თუმცა საგანმანათლებლო სივრცეში კონკურენციის ზრდისა და გამოწვევების ფონზე, საჭიროა, ამ პროცესების მუდმივი სრულყოფა-განვითარება პერსპექტივაშიც.